სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
N 01-020901

ქ. თბილისი

9 თებერვალი 2016 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს სსიპ ,,გარემოს ეროვნული სააგენტო" (შემდგომში - `შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლის ალექსანდრე დევიძის სახით და მეორე მხრივ შპს `სი-ტი პარკ"-ი(ს/კ 204543770) (შემდგომში - `მიმწოდებელი") მისი გენერალური მენეჯერის ბინიამინ ლაჰავის სახით (მინდობილობა - სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი № 160016630), ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ ,,გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის (1 ერთეული TOYOTA (LANDCRUISER PRADO - სახ.N AC 515 AD) 1 (ერთი) წლის პარკირების საფასურის გადახდა და შესაბამისად პარკირების სისტემაში გააქტიურების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა (CPV-98351110 - მომსახურებები ავტოპარკირების წესების დაცვის უზრუნველყოფის სფეროში) (შემდგომში მომსახურება).

1.2 მომსახურების გააქტიურება განხორციელდება 2016 წლის 18 თებერვლიდან.

2. შესასყიდი მომსახურების რაოდენობა და ფასი

2.1 პარკირების მომსახურების შესყიდვა ხორციელდება 1 (ერთი) ერთეულ ავტომანქანაზე. ერთი ავტომანქანის 1 (ერთი) წლის პარკირების საფასური შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების საერთო თანხა შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურება ქ. თბილისის მასშტაბით (პარკირების სისტემაში გააქტიურება) განხორციელდება `მიმწოდებლის" და ,,შემსყიდველის" მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან შემდეგი წლის შესაბამის კალენდარულ დღემდე.

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურებისათვის ფორმდება შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია.

3.3 შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღებას განახორციელებს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" მატერიალურ-ტექნიკური-უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1. მომსახურების ხარჯების ანაზღაურება მოხდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ვალუტით, უნაღდო ანგარიშსწორებით `მიმწოდებლის" მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ფასების შესაბამისად.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

5. ცვლილებები

5.1. ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები `შემსყიდველისათვის". ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ `საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 398-ე მუხლის თანახმად.

5.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას საყოველთაოდ აღიარებული ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.

6.2. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს `შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს, სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" მატერიალურ-ტექნიკური-უზრუნველყოფის სამმართველოს თანამშრომელი.

8. მხარეთა უფლება _ მოვალეობანი

8.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეებსა და მათ წარმომადგენლებზე.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად (ორი _ `შემსყიდველს", ერთი _ `მიმწოდებელს").

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ჯეროვნად ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით _ ხელშეკრულების საერთო თანხის 0.5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება მოქმედებს (გარდა წინამდებარე ხელშეკრულების პირველ მუხლში მითითებული პარკირების სისტემაში აქტივაციის ვადისა) 2016 წლის 31 მარტის ჩათვლით.

11. მხარეთა რეკვიზიტები

`შემსყიდველი"

სსიპ ,,გარემოს ეროვნული სააგენტო"
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №150.
საიდენტიფიკაციო კოდი: 204559691
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
ტელ: 243 95 45

ალექსანდრე დევიძე
სააგენტოს დროებით უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი

`მიმწოდებელი"

შპს `სი-ტი პარკ"
ს/კ 204543770
ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. #47
ტელ: 224 44 41
ს.ს. `ბანკი რესპუბლიკა" ც/ფ
ბანკის კოდი: REPLGE22
ა/ა #GE90BR00000 106 086 189 45
ტელ: 2555 123

ბინიამინ ლაჭავი
გენერალური მენეჯერი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

9 თებერვალი 2016 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსა და შპს „სიტი პარკ"-ს შორის 2016 წლის 9 თებერვლის N01-020901 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს.

_____ ალექსანდრე დევიძე

_____ ზაზა დვალაძე

_____ დათო ქოჩიაშვილი